ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო!

2014
წელი

16-31 ივლისი

№14
(9341)

კოლხეთი

გაზეთი გამოდის
1923 წლის
1 მაისიდან

ფასი
40 თეთრი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

მუნიციპალიტეტის ამბები

2014 წლის 15 ივნისს არჩეულ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სია:

კობა კილასონია - „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია;
დინარა ხუხუა - „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია
ლაშა კუჭავა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
ბორისი სოსელია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
ინგა ქარდავა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
ხვიჩა სანაია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
თამაზი ბოჯგუა -„შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
დამირი კუჭავა - „ქართული ოცნება“;
ბადრი ხურცია - „ქართული ოცნება“;
რევაზი საჯაია - „ქართული ოცნება“
ბადრი კალანდარიშვილი - „ქართული ოცნება“;
ჯუმბერი ლაშქარავა - „ქართული ოცნება“;
ნატალია ხუბუა - „ქართული ოცნება“;
ნანა ალანია - „ქართული ოცნება“;
გიორგი გაბედავა - „ქართული ოცნება“;
ხვიჩა ჟიშკარიანი -„ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
სულხანი ხუნწარია -„ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
დავით გვარამია -„ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ბიძინა ტაბაღუა -„ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ზურაბი აფაქიძე -„დამოუკიდებელი“(მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ელისო ცაგურია -„დამოუკიდებელი“(მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ლიმორა არდია -„დამოუკიდებელი“(მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
გენადი ხუხუნი -ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ალბერტი ხარბედია - ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ბესიკი ნარმანია - ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ბესიკი ბესელია - ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ლევანი გაბელია - „დამოუკიდებელი“(მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
კახაბერი რუსია - ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
დავითი ხუხია - დამოუკიდებელი (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით);
ნუკრი მირგატია - ქართული ოცნება“ (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით).

საკრებულოს სხდომა

2014 წლის 14 ივლისს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მესამე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომა №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ. ფირცხალავამ გახსნა, რომელმაც სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები შეაჯამა და სიტყვა გადასცა უხუცესს საკრებულოს წევრს ქალბატონ ლიმორა არდიას. სხდომაზე საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და თანამდებობების პირების არჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ იქნა დროებითი სამანდატო და ხმისდამთვლელი კომისიები, რის შემდეგ ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა - კახაბერ რუსია, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ - ბადრი კალანდარიშვილი. საკრებულოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი, რომლის დამტკიცების შემდეგ ასევე ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნენ საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, კერძოდ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ-გენადი ხუხუნი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ - დავით ხუხია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ -ბადრი ხურცია. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ -ლაშა კუჭავა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - ნანა ალანია. ახალი მოწვევის საკრებულო 30 წევრით დაკომპლექტდა, სადაც 15 მაჟორიტარული, ხოლო 15 პროპორციული წესითაა არჩეული. აქედან 18 მანდატია კოალიცია „ქართულ ოცნების“, 4 მანდატი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის“, 2 მანდატი „ნინო ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიციის, 1 მანდატი „შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ და 5 მანდატი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ დამოუკიდებელ კანდიდატების.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაფუძნდა 6 ფრაქცია:

1„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-თავმჯდომარე-ჯუმბერ ლაშქარავა.
2„ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“ -თავმჯდომარე - ბესიკ ნარმანია.
3. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - თავმჯდომარე - ბორისი სოსელია.
4„ქართული ოცნება -თავისუფალი დემოკრატები“ -თავმჯდომარე -ზურაბ აფაქიძე.
5. „ქართული ოცნება - მრეწველები“ - თავმჯდომარე - ლიმორა არდია.
6„ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ -თავმჯდომარე - დინარა ხუხუა.

ნონა ქამადაძე,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების
მთავარი სპეციალისტი საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში

კალისტრატე შარტავა-100

2014 წლის 24 ივლისს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა ჩვენი ქალაქის გამორჩეულ პიროვნებას, საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მამასბატონ კალისტრატე შარტავას. იგი საკმაოდ ხანდაზმული - 95 წლის ასაკში გარდაიცვალა და თავისი ლამაზი ცხოვრებითა და მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა სენაკის რაიონის ისტორიაში.

მაღალმოქალაქეობრივ თვითშეგნებაში იყო ბატონი კალეს პიროვნული ხიბლი. მოზომილი, წინდახედული, საქმის ერთგული, მოყვასისადმი დამაშვრალი, კარგი ოჯახის ძლიერი ბურჯი, მჭერმეტყველი, ტევადი და შინაგანად ამაღლებული...ასეთი ახსოვს ბატონი კალისტრატე სენაკს და ასეთივე გაწონასწორებული, მისაბაძი და სულით ხორცამდე ქართველი ემახსოვრება მარად. იგი თანაქალაქელთა მეხსიერებაში ყოველთვის დარჩება მოქალაქეობრივი სინდისისა და პატიოსნების სიმბოლოდ.

ბატონმა კალემ ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრა, იმდენად ჯანსაღი ცხოვრების წესით, რომ თაობებს ეყოფათ მაგალითად. ცხოვრების გადასახედიდან მან ქალბატონ ფენიასთან ერთად განვლო ბედნიერებითა და ქარტეხილებით აღსავსე გზა და ცხოვრების ორომტრიალში მრავალგზის დაამტკიცეს სულის სიძლიერე. ცნობილია წლების მანძილზე ჟიული შარტავას მშობლები თუ როგორ ტკივილს ატარებდნენ ღირსეულად, ისე ღირსეულად, როგორც შარტავების დიდ ოჯახს შეეფერებოდა. ვაგლახ, რომ მიწიერი საქართველოდან ბატონი ჟიულის მშობლებმა ვერ წაიღეს ისეთი ამბავი, რომელიც მის სულს გაახარებდა.

გვსურდა ბატონ კალეს დიდი ოჯახის ბურჯად და თავკაცად ეცოცხლა კიდევ დიდხანს, დიდხანს ევლო ერის საამაყოდ და სასიხარულოდ, ჩვეული ენერგიით კვლავ ეღვაწა რაიონის სამუზეუმო სფეროში, რათა მომავალი თაობები ეზიარებინა ერის მატერიალური და სულიერი ფასეულობებისათვის. 2009 წლის აპრილის თვეში წავიდა ჩვენგან ბატონი კალე. მან კაცურად იცხოვრა და კაცურად გახერიდა წუთისოფელს, უსაზღვრო ტკივილი და მარადიული ხსოვნა გაიყოლია თან.

მუზეუმის თანამშრომლები მადლიერებით ვიხსენებთ ჭარმაგ ხელმძღვანელთან განვლილ წლებს. ხშირად ვიგონებთ ბატონ კალეს, როგორც ყველა ღირსებით შემკულ პიროვნებას, სამაგალითო ქართველს, ღვაწლმოსილ და ამაგდარ მოქალაქეს.

ნათელში იყოს სასუფეველში დავანებული, დიდებული ადამიანის, ბატონი კალისტრატე შარტავას უკვდავი სული.

კაცურკაცობისათვის, მოფერებისათვის, ყველაფრისათვის გმადლობთ ერის კაცო-ბატონო კალისტრატე.

ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები

დამსახურებული გამარჯვება

მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში, კერძოდ არჩევნებში ბატონი გოჩა დგებუაძის გამარჯვებით სენაკელთა უმრავლესობამ ხმა მისცა ღირსეულ პიროვნებას. მის სიტყვასა და საქმეს შორის ყოველთვის შესაბამისობაა, გამორჩეულია ნიჭით, უნარით, საქმით, ამასთან მისი საუკეთესო თვისებაა გულთბილი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ. ბატონი გოჩას მიმართ თამამად შეიძლება გამოვიყენოთ დიდი ილიას გამონათქვამი: „სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა, ღონესა და მიდრეკილებას, არაფერ შუაშია დიდ და პატარა საქმე. კაცმა იმ საქმეს უნდა მიჰმართოს, რაზედაც გული მიუწევს და უნარი მიუწვდება, უიმისოდ ყოველი დიდი საქმე მცირდება და მისით კი პატარაც დიდია”.

ღმერთმა მისცეს ბატონ გოჩა დგებუაძეს ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე, ამასთან შესაძლებლობა იღვაწოს სენაკელთა საკეთილდღეოდ.

მ.კაშიბაძე
ე.ხუხუა,
თ. თოლორდავა

საქმის ერთგულებით და პროფესიონალიზმით

შრომისა და ცხოვრების დიდი გამოცდილება ამშვენებს გურამ მოსიძის ნათელ ბიოგრაფიას. მეორე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკულ ფაკულტეტზე, საიდანაც გადავიდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა საწარმოებში ზეინკალ-ამწყობად, მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად, საქსოფლტექნიკის ცხაკაიას რაიონული გაერთიანების მთავარ ინჟინრად, საქსახკომსოფლტექნიკის ჩხოროწყუს რაიონული გაერთიანების მმართველად, ცხაკაიას რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, კომსაკვების ქარხნის დირექტორად, ჩაის კომბინატთან არსებული მცირე საწარმოს დირექტორად, სს „არომატის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, სენაკის ჩაის საწარმოს დირექტორად და სხვა.

ბატონი გურამი ყოველთვის და ყველგან გამოირჩეოდა პრინციპულობით, საქმისადმი პასუხისმგებლური მიდგომით, თანაქალაქელების სიყვარულით. თანამშრომლებს ყოველთვის რიდი ჰქონდათ მისი და პატივს სცემდნენ ხელმძღვანელის პროფესიონალიზმს.

გურამ მოსიძეს 10 ივლისს 75 წელი შესრულდა. ამჟამად პენსიაზე მყოფი შვილიშვილებზე ზრუნვაში ათენ-აღამებს. შვილების მაია და ირაკლის კეთილდღეობას და დღეგრძელობას შესთხოვს უფალს. მეუღლესთან ეთერ მოსიძესთან ერთად უვლის ეზოკარს, ხეხილს, ყვავილებს. ვულოცავთ ბატონ გურამს 75 წლის შესრულებას, ვუსურვებთ დღეგრძელობას და ხალისიან განწყობილებას. მკითხველს ვთავაზობთ არასტანდარტულ ინტერვიუს იუბილართან

ბატონო გურამ, თქვენ სხვადასხვა დროს მუშაობდით სხვადასხვა თანამდებობებზე, როგორ ფიქრობთ როგორი ხელმძღვანელი იყავით?

ვფიქრობა ნორმალური, დაკონკრეტებისგან თავს ვიკავებ, რადგან არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი.

რა პარალელს გაავლებთ თქვენი ახალგაზრდობისდროინდელ სენაკსა და ახლანდელ სენაკს შორის.

რაც მთავარია ჩემს ახალგაზრდობაში განსაკუთრებით იყო ურთიერთშორის პატივისცემის, სითბოსა და სიყვარულის გრძნობა, უფროსებისადმი რიდისა და მოკრძალების თვისება, იყო კულტურა, სეირნობისა და გართობის სხვადასხვა საშუალებები. ძალიან დიდი სურვილი მაქვს დღევანდელ ნიჭიერ ახალგაზრდობას მიეცეს ნორმალური დასაქმების და გართობის შესაძლებლობა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენმა ქალაქმა „ძველი დიდება" დაიბრუნოს?

ქალაქისათვის ძველი დიდების დაბრუნება სრულად ვერ იქნება შესაძლებელი, ჩემი აზრით საჭიროა ხელისუფლების მხრიდან მეტი მზრუნველობისა და ყურადღების მიქცევა ხალხისადმი.

დაგვისახელეთ ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირსსახსოვარი პერიოდი ცხოვრებაში.

ყველაზე ღირსსახსოვარი პერიოდი იყო ოჯახის შექმნა და შვილების მოვლენა ამ ქვეყანაზე.

ბატონო გურამ, რას ანიჭებთ შვილების აღზრდაში პრიორიტეტს.

ბავშვობიდან შვილის შრომაზე მიჩვევას, რა თქმა უნდა დაუძაბავს და ადეკვატურს. მზრუნველობის ზომიერებას, მშობლების მხრიდან ქცევების, სამაგალითო ცხოვრების წესების დაცვას.

რომელ თვისებას აფასებთ ადამიანში?

თავმდაბლობას, კაცთმოყვარეობას და მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის თესვას.

გიყვართ თუ არა იუბილეებისა და დაბადების დღეების აღნიშვნა?

მიყვარს, მხოლოდ ზედმეტი პომპეზურობის და ორგიების გარეშე.

ბატონო გურამ, რას კითხულობთ მოცალეობის ჟამს?

განსაკუთრებით მიყვარს დიდი ადამიანების ბიოგრაფიებისა და დეტექტივების კითხვა.

გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის, კიდევ ერთხელ გილოცავთ 75 წლის შესრულებას და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

ესაუბრა მ. ეჯიბია

ქართული ცეკვა-ეროვნული სულის ზეიმი

სად, თუ არა ქართულ ცეკვაში მჟღავნდება ძალუმად ყივილი გენის, ვაუკაცური აღმაფრენა ქართული სულისა!

ქართული ცეკვა ეროვნული სულის ზეობის ზეიმია, იგია საუნჯე ულეველი, რომელიც აოცებს მსოფლიოს.

5 ივლისს, ტრადიციულად, როგორც ყოველ წელიწადს, ულამაზესი საღამო გვაჩუქა თავისი ხელწერით გამორჩეულმა ქორეოგრაფმა ზვიად გვასალიამ, რომელმაც 15 წელია ნიჭიერების, დახვეწილობის ზეიმად აქცია თავისი ფეიერვერკული მშვენიერების საღამოები.

მას შემდეგ 16 წელმა განვლო, ზვიად გვასალიას, შემოქმედებითი წვის, დიდი რუდუნებისა და სხივოსანი იდეების შედეგად შეიქმნა ქორეოგრაფიული ანსამბლი „კუჩხი ბედინერი". 16 წელია, ერთხელ ძლიერად გაჭრილი კალაპოტში ძალუმად ჩქეფს და დიდხანს იჩქეფებს სიყვარულის, ნიჭიერებისა და ცეცხლოვანი ცეკვების წყალუხვი მდინარე, ასე, რომ გვარწყულებს სენაკელებს.

ზვიად გვასალიამ საკუთარი ხელწერა დაიმკვიდრა სცენაზე...მისი მაქსიმალიზმი, მკაცრი დისციპლინა, გემოვნება, მოზარდში ნიჭიერების აღმოჩენის, გაღვივებისა და გაბრწყინების უნარი სასწაულს ახდენს და

წლებია ჩვენს წინ, სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კუჩხი ბედინერში" იბადებიან ახალი ტალანტები, ფრთები ესხმება ოცნებებს...

5 ივლისი... ეს არ იყო შაბლონური, ბანალური სოლო-კონცერტი, ის წრფელი გულით, სუფთა ხელებით, დახვეწილი გემოვნებით მოტანილი ჭეშმარიტი სიყვარული, სულის სინათლე, როკვით განფენილი უძველესი ფოლკლორის აღზევების ზეიმი გახლდათ.

როგორც გასული წლები, წლევანდელიც წარმატებული აღმოჩნდა ანსამბლისათვის.

5 აპრილს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის პატრონაჟითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ქ. თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ საქართველოს სახალხო არტისტის, საუკუნის მოცეკვავის ფრიდონ სულაბერიძისადმი მიძღვნილ ქორეოგრაფიულ ფესტივალზე ანსამბლი „კუჩხი ბედინერი" ღირსეულად წარსდგა მაყურებლის წინაშე და დამსახურებულად მოიპოვა ლაურეატის წოდება..

ქალაქ ფოთის თვითმმართველობისა და ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია „ლაზიკა 1997"-ის ორგანიზებით გამართულ ტრადიციად ქცეულ კოლხურ-ლაზური ფოლკლორული ცეკვისა და სიმღერის კონკურსზე „ლაზიკა 2014" ანსამბლს მეორე ადგილი ხვდა წილად და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

სენაკის ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარეს, სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კუჩხი ბედინერის" ქორეოგრაფს ზვიად გვასალიას გადაეცა საპატიო დიპლომი კოლხურ-ლაზური ფოლკლორის საუკეთესოდ წარმოდგენისათვის. ფესტივალ-კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფრიდონ სულაბერიძე.

საქართველოს ბავშვთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ფესტივალ-კონკურსების ორგანიზაცია „იმედის" მიერ ურეკში გამართულ ილიკო სუხიშვილის სახელობის პრიზზე ქართული ხალხური ცეკვის ფესტივალ-კონკურსზე ანსამბლის მოცეკვავეებს გადაეცათ საპატიო სიგელები.

სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კუჩხი ბედინერის" გრანდიოზულ სოლო –კონცერზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ცეცხლოვანი ცეკვები, აბაშის ფოლკლორულ ანსამბლ „ჰარირას" მიერ შესრულებული სიმღერები. ისრაელიდან და ქ. მოსკოვიდან საგანგებოდ კონცერტისათვის ჩამოსული სტუმრების, ქორეოგრაფიული ანსამბლ „ხორა იერუსალიმის"(ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი ჰაგიტ ხარგარი) და ბავშვთა სანიმუშო ქორეოგრაფიული ანსამბლ „ხადორინკა"(სამხატვრო ხელმძღვანელი დინა კაზანცევა) მირ შესრულებულმა ქორეოგრაფიულმა ნომრებმა მაყურებლის ოვაცია დაიმსახურა.

ივლისის 5... ფესტივალებისა და კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კუჩხი ბედინერის" სოლო-კონცერტი გახლდათ ქართული ხალხური ცეკვების, ეროვნული სულის ზეობის ზეიმი, დღე სასწაული, რომელიც დიდხანს გაჰყვებათ სენაკელებს, დღე, რომელმაც კიდევ ერთხელ დასტურყო, რომ სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „კუჩხი ბედინერი" ღირსეულად დაიმკვიდრა რჩეულთა შორის რჩეული სახელი.

ფეხბედნიერი და ახალი გამარჯვებების დასაბამი ყოფილიყოს ანსამბლისათვის ყოველი აღიარება და წარმატება...

თ. გრიგოლია,
მ. ბაღათურია

ანსამბლი „მეგა" სოლო კონცერტით სენაკელთა წინაშე

2014 წლის 8 ივლისს, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა სენაკის ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეგას" სოლო კონცერტი.

ანსამბლს ხელმძღვანელობენ არტისტიზმითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული ქორეოგრაფები: მამუკა მესხიშვილი და ეკატერინე გაბრავა.

სოლო კონცერტმა კიდევ ერთი გამარჯვება მოუპოვა ანსამბლს. მაღალი კულტურითა და გემოვნებით შესრულებული ცეკვები იყო სინთეზი წმინდა საცეკვაო ელემენტებისა ქართულ კულტურასთან, მის ადათ-წესებთან. რეპერტუარის მრავალფეროვნებას ცეკვად გარდასახული საქართველოს ყოველი კუთხის ტრადიციათა სიმდიდრე განაპირობებდა.

ქართული ცეკვა და სიმღერა გენეტიკურ კოდად მოჰყვება ეროვნულ ცნობიერებას. ეს შეუფასებელი განძი ყოველი ჩვენთაგანის სულიერების თანმხლებია. კონცერტს განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებდა სტუმრად მოწვეული აჭარის ხელოვნების სკოლის ხალხურ საკრავთა ჯგუფის მომღერლებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლების შემოქმედება.

კონცერტის ფინალმა დიდი ოვაციები გამოიწვია. ქორეოგრაფების: მამუკა მესხიშვილისა და ეკატერინე გაბრავას მიერ შესრულებული ქართული ცეკვა იყო ულამაზესი სანახაობა, მომგვრელი ეროვნული სიამაყისა და იმ დიდი სიხარულისა, ქართველად დაბადება რომ ჰქვია. მათი მემკვიდრის - ტატო მესხიშვილის სცენაზე უეცარმა გამოჩენამ დარბაზში საოცარი ეფექტი მოახდინა. ეს ულამაზესი საღამო დიდხანს შემორჩება მაყურებლის მეხსიერებას.

ნოქალაქევში 40 სებასტიელი მოწამის საფლავების მოსაძებნად გათხრებს დაიწყებენ

ნოქალაქევში 40 სებასტიელი მოწამის საფლავების მოსაძებნად გათხრებს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო უახლოეს დღეებში დაიწყებს.

40 სებასტიელი წმინდანის საფლავი ამ დრომდე უცნობია. თუმცა არქეოლოგების და მკვლევარების ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი შესაძლოა სენაკში, სოფელ ნოქალაქევში, მათივე სახელობის მეექვსე საუკუნის ტაძრის სამხრეთ ნაწილში იყვნენ დაკრძალული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო არქეოლოგიურ სამუშაოებს ტაძრის სამხრეთ ნაწილზე უახლოეს დღეებში დაიწყებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დრიექტორის მოადგილის დავით ლომიტაშვილის განმარტებით, მათ უწყებას კვლევის ჩასატარებლად სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ მიმართა.

სწორედ მეუფე შიოს მიერ მოკვლეული სხვადასხვა ისტორიული მასალების თანახმად, ნოქალაქევში არიან დაკრძალული მოწამეები. მეუფის განმარტებით, მოწამეთა საფლავების ტაძარში არსებობაზე რუსი ეგზარქოსები და გურიის ეპისკოპოსი წერდნენ.

გადმოცემის თანახმად, 40 სებასტიელი მოწამე კაბადოკიელი მეომრები იყვნენ და ისინი მეოთხე საუკუნეში სებასტიაში წარმართმა იმპერატორმა აწამა.

კატასტროფის რისკის შემცირების პროექტის წარმომადგენლები სენაკში

10 ივლისს სენაკის მუნიციპალიტეტს ეწვივნენ ASB ჯგუფის კატასტროფის რისკის შემცირების პროექტის წარმომადგენლები. მათ, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ თენგიზ ლომიასთან, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელ ნატო ფულარიასთან და შესაბამისი სამსახურებისა და სტრუქტურის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს კატასტროფის რისკის შემცირების პროექტის განხორციელების აუცილებლობაზე, რომლის ფარგლებშიც ამ ეტაპზე დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისათვის. ამასთან, ყველა საბავშვო ბაღს საჩუქრად გადაეცემა ცეცხლსაქრობი სტენდი. პროექტი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ამოქმედდება.

უნიკალურ არქეოლოგიურ მასალებთან მიახლება

22 ივლისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილთან და ნოქალაქევის ქართულ–ბრიტანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელ ნიკოლოზ მურღულიასთან ერთად სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ დაათვალიერა ექსპედიციის მიერ მოპოვებული უნიკალური მასალები და დაესწრო მათი გასუფთავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლის მოსწავლეებმა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ერთობლივი პროექტის: „ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს", რომელიც უკვე მე-6 წელია ხორციელდება, მორიგი სეზონი 23 ივლისს დასრულდა. სკოლის მუშაობის შინაარსობრივად დატვირთული დღეების ერთ-ერთი სეგმენტი სწორედ ექსპედიციის კვლევით სამუშაოებთან მიახლება და მასში ჩართულობაც იყო.

„არტ-გენის" ფესტივალზე

მიმდინარე წლის 20 ივლისს თბილისში, გ. ჩიტაიას სახელობის ქართული ხუროთმოძღვრების სახელმწიფო მუზეუმში, გაიმართა ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „არტ-გენი", რომელიც უკვე 11 წელია ემსახურება ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციას ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან წარდგნენ ფესტივალზე ფოლკლორული ანსამბლები. გასულ წლებთან შედარებით სენაკის მუნიციპალიტეტი გაცილებით მეტი ანსამბლებითა და მრავალრიცხოვანი პროგრამით იყო მიწვეული ფესტივალზე. „არტ-გენს" სტუმრობდნენ: სენაკის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები: „ეგრისი" და „კოლხური ტრიო", სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი", ,სენაკის სამუსიკო სკოლასთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი "მორდუ", ფოლკლორული ანსმბლები: „გოგალაი" და „კოლხიდა".

ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ანსამბლები: „კოლხური ტრიო", „გოგალაი" და „მორდუ" მიწვეულნი არიან გალა კონცერტზე, რომელიც გაიმართება 27 ივლისს.

გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური

გზა სკოლისაკენ....

ზაფხულის ისედაც მცხუნვარე მზის სხივები სიხარულს მატებდა მოზეიმე დამამთავრებელი ჯგუფის ბავშვთა გაცისკროვნებულ სახეებს.

აბა! რა შეედრება ბუნების ამ უმშვენიერეს არსებათა ხილვას, როცა ისინი ზეიმობენ.

და იყო ასეთი სიხარული ქალაქ სენაკის № 3 ბაგა-ბაღში (გამგე მადონა კუჭავა).

საზეიმოდ მორთული იყო დარბაზი, მოზეიმე ბავშვთა სიხარული გადასდებოდა ოთახში გამოფენილ უსულო საგნებსაც და ჰანგების რხევებთან ერთად ისინიც ირწოდნენ და ცეკვავდნენ.

სიხარულით სახეგაბრწყინებულ ბავშვებს დიდი სიყვარულით თავს დაჰფოფინებდა მასწავლებელი აზა გეგია-ჯაიანი.

ამ სიმღერა-ცეკვა ურიამულში ჩართული პატარები დღეს ემშვიდობებოდნენ ტკბილად მოსაგონარ აღმზრდელ მასწავლებლებს და მეგობრებს. გზა მშვიდობისას უსურვებს პატარებს მუსიკის ჰანგებიც. დღეს ყველა ერთად არიან, ხვალ, ვინ იცის ვინ რომელ სასწავლებელს მიაშურებს.

წინ არდადეგებია! ოჰ, რამდენს ითამაშებენ ჩვენი პატარები!.

მაგრამ არა, მათ წინ გასავლელი აქვთ სწავლის გზა და ამისათვის ვის რამდენადაც შეუძლია იმდენად მოემზადოს უნდა.

მართალია მათ უყვართ სიმღერა, ცეკვა, უყვართ ლექსები, ხატვა და ვინ იცის კიდევ რისი სიყვარული აღმოაჩნდებათ. გაივლის წლები და შემდეგ ჩვენს ქვეყანას უპატაკებენ კიდევ რის გაკეთებასაც შესძლებენ.

გზა მშვიდობისა ჩვენო პატარებო!

წარმატებას გისურვებენ სიყვარულით მასწავლებლები და მეც დაგილოცავთ გზას სკოლისაკენ ჩვენო მომავალო იმედებო.

თქვენ კი საყვარელო მასწავლებლებო, კიდევ მრავალი თაობისათვის დაგელოცოთ გზა სკოლისაკენ.

მერი გვასალია

ექსკურსია კახეთში

„ბევრი მხარე მოვიარე-ასე იწყებს ამბავს მთვარე, მაგრამ საქართველოსთანა არ მინახავს არსად მხარე”-ამ განწყობით გათენდა სენაკში 2014 წლის 5 ივნისი, მართლაც მშვენიერი ზაფხულის დილა, როცა სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებმა(უფროსი მანანა გრიგოლავა) და მუნიციპალიტეტის სკოლათა დირექტორებმა და ფინანსისტებმა გზა კახეთისაკენ ავიღეთ.

გზად იყო ზაფხულის კახეთის ზღაპრული ფერების საოცარი მონაცვლეობა, შთამბეჭდავი ლანდშაფტური მრავაფეროვნება, ივრის ველი, შუა საუკუნეების ტრადიციებისა და თანამედროვეობის შერწყმა სიღნაღში, ბოდბის მიწაზე ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ნაფეხურების და მისი სავანის საოცარი მადლი.

ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებიდან მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს არა მარტო ქართველებში, არამედ ნებისმიერ უცხოელ ტურისტზე ცაში ატყორცნილი ალავერდი, ძველი და ახალი შუამთა, ნეკრესი და გრემი.

საოცარია კახეთის ფლორა და ფაუნა, გორაკ-ბორცვები, ხეობები და ნაკრძალები, წიწვოვანი ტყეები თუ ბაღ-ვენახები, განსაკუთრებულად იზიდავს დამთვალიერებელს თანამედროვე ინფრასტრუქტურულ დონეზე მოწყობილი ლოპოტას და ალიას ტბები.

და მაინც საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა ვიმოგზაუროთ, სამშობლოს რომელ მხარესაც არ უნდა მოვეფეროთ, ჩვენი აფხაზეთის ქართველების ფიქრი და გონება, მუდამ მშობლიურ აფხაზეთს დასტრიალებს, მოლივლივე ზღვას, მარად ხასხასა, განუმეორებელ ფერებს, იქაურ ეგზოტიკურ სანახაობას. უკვე ორი ათეული წელიწადია, ზოგიერთი ჩვენთაგანი რაც აფხაზეთის გაუყუჩებელ ტკივილს, მონატრებას, ოცნებად ქცეულ დაბრუნებას და ნოსტალგიას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობით ვიქარვებთ.

ჩვენს ამ შთამბეჭდავ ორდღიან მოგზაურობაზე, კვებაზე და სასტუმროზე იზრუნა „ლიბერთი ბანკის” სენაკის ფილიალმა(მმართველი-თეიმურაზ ლომია), რისთვისაც მას უდიდეს მადლობას ვუხდით. ვუსურვებთ „ლიბერთი ბანკს” და მის ხელმძღვანელს წარმატებებს, გაფართოებას და საინტერესო მოლოდინებს.

გია ხურცილავა
სსიპ სოფელ ლეძაძამეს
საჯარო სკოლის დირექტორი

მუნიციპალიტეტის ამბები

გიგიმ გუნდი დამარცხებას გადაარჩინა



ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ბავშვებში შვედეთის ქალაქ გეტებორგში. ტურნირი წელს მეორმოცედ ტარდება და სახელადაც ასე ჰქვია: გოტია ქაფი (ანუ გეტებორგის თასი) - ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. ამ უდიდეს ღონისძიებაზე მსოფლიოს 80 ქვეყნიდან 1 700 გუნდი იყო წარმოდგენილი. მეთვრამეტედ მონაწილეობს მასში საქართველოს უნივერსიტეტი, რომელიც ტრადიციულად ვაკე-91 სახელით გამოდის, რადგან 1997 წელს სწორედ კოტე დოლიძის დაარსებულმა ვაკემ გაკვალა პირველად გზა სკანდინავიისკენ.

წელს ქართველები 4 გუნდით წარსდგნენ ტურნირზე (1998 წელს დაბადებულთა -2 გუნდი, 2001 და 2003 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდები). საზეიმო გახსნა გაიმართა 42 ათასიან სტადიონ „იმ ულევიზე”.

ჩემპიონატის დასაწყისში ქართველებმა ასეთი შედეგები უჩვენეს: 1998 წლიანების პირველი გუნდი (მწვრთნელი - ზაზა დიდებაშვილი) პირველ მატჩში შვედურ სტრიკერთან 0-1 დამარცხდა, მერე კი შვედურ სპარვანგერს შეხვდნენ. თამაში საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ჯერ ტატო ღუღუნიშვილმა შორეული დარტყმით წინ გაიყვანა ჩვენი გუნდი, შემდეგ კი სენაკელი გიგი გვასალიას მიერ მოწოდებული ბრწყინვალე საგოლე პასი კარგად გამოიყენა საბა ლომიძემ და ორამდე გაზარდა ანგარიში. მალე შვედებმა ანგარიში გაათანაბრეს, თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კი ჩვენი გუნდის მეკარე გააძევეს მოედნიდან და ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც გიგი გვასალიამ მოიგერია და გუნდი აშკარა დამარცხებას გააარჩინა.

მეორე გუნდმა (მწვრთნელი ბასილ გუგუჩია) მალაიზიის იუს სოკერს 2-0 სძლია. 2001-იანებმა 2-3 წააგეს შვედურ გრეისთან. შემდეგი მატჩი დათმეს შვედეთის ადიტთან. 2003 წლიანებმა შვედურ ასურიკასთან 1-1 ითამაშეს, მერე კი ზაზა თაფლაძის ერთადერთი გოლით შვედურ ალფსბორგს სძლიეს.

ვუსურვებთ საქართველოს ოთხივე გუნდს წარმატებებს, ხოლო ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრს, პერსპექტიულ ახალგაზრდას გიგი გვასალიას მისცემოდეს შესაძლებლობა ბევრჯერ ესახელებინოს საკუთარი თავი და მშობლიური სენაკი.

მაია გერგაია

მადლობა

ამას წინათ ტრაგედია დაგვატყდა თავს. 49 წლის ასაკში, მოსკოვში, გულის შეტევით გარდაიცვალა მალხაზ შოთას ძე კულუა, რომელიც იქ სამუშაოს საძიებლად იყო წასული. ოჯახს არანაირი საშუალება არ გააჩნდა ჩამოსვენებასთან დაკავშირებული ხარჯების გასაწევად. არადა დრო არ ითმენდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილებს მხსნელად მოგვევლინა ბატონი დემურ გადელია, რომლის ფინანსური შემწეობითაც შევძელით მშობლიური მიწისათვის მიგვებარებინა გარდაცვლილი.

ღმერთო, ჯანის სიმრთელეს, დღეგრძელობას, სიხარულს და ბარაქას ნუ მოაკლებ ამ შესანიშნავ ადამიანს, რომელსაც სხვისი სატკივარის გათავისება გაუხდია თავის სულიერ საზრდოდ.

ღმერთო, უმრავლე ქვეყანს ასეთი ადამიანები.

მალხაზ კულუასოჯახი

„საინფორმაციო ცენტრის” თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დარეჯან ფაჩულიას

დედის

გარდაცვალების გამო

„საინფორმაციო ცენტრის” თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დარეჯან, ვახტანგ და იგორ შურდაიებს

დედის

გარდაცვალების გამო

„საინფორმაციო ცენტრისა” და გაზეთ „კოლხეთის” თანამშრომლები თანაუგრძნობენ ემზარ კილასონიას

დედის

გარდაცვალების გამო

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
მენეჯერი იზოლდა ჩვამანია
კორესპონდენტი მაია გერგაია
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა“-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33